



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №78

2017 წლის 25 დეკემბერი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2018 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2018 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამები თანახმად დანართებისა (№1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13, №14, №15).
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №36 დადგენილების ამოქმედებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნადიმ ვარშანიძე